ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01241362007**
თარიღი: **15/05/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
**მისამართი:** შარტავას 7

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2024 წლის 1-ლი მაისის N 17-01241223415-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, V მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.10.013.335) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის (AR11008699) შეთანხმების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია, ავტობუსების გაჩერება მისაწვდომობის ფარგლებშია და გააჩნია რეზერვი. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში ი. ვეკუას ქუჩა და ო. ხიზანიშვილის ქუჩა მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ასევე, მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა.

მიმდებარე გზების ძირითად ნაწილს ტროტუარი გააჩნია, თუმცა გვხვდება სარეაბილიტაციო მონაკვეთები. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/ რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები თანხმობის წერილებთან ერთად.

დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდეგ, ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საზ. ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების შემდეგ, ვერ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01241942140**
გაცემის თარიღი: **12/07/2024**

**ადრესატი:** მარიამ ეფრემიძე
**პირადი ნომერი:** 01008050596
**მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, ქობულეთის ქუჩა, N3-15, ბინა 97

**ქალბატონო მარიამ,**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2024 წლის 11 ივლისის №01241932262-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 11 ივლისის №01241932262-16 განცხადება და შეთანხმდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

**სააგენტოს მიერ აღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ითვლება შეთანხმებულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში აღნიშნულ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების წარდგენისა და ნებართვის მიღების შემთხვევაში.**

**საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.**

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :**

**https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/Ucq2fCxqQc3x029**

**პატივისცემით,**

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# გენ-გეგმა

საპროექტო შენობის გენ-გეგმა შეთანხმებული ტრანსპორტის სქემის შესაბამისია.

საკადასტრო საზღვრებში არსებული გარე პარკირება დაზუსტდა პროექტირების ეტაპზე.




# შეთანხმებული ტრანსპორტის სქემა




შენიშვნა:
Notes:

1. ნახაზზე ზომები მოცემულია მეტრებში.
2. ექსპლუატაციაში მიღებამდე პროექტში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები.
3. ნახაზის ყველა ცვლილება მშენებლობის პროცესში შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან.

| | |
|---|---|
| პროექტის სტატუსი<br>Drawing Status<br>არქიტექტურული პროექტის შემთანხმება. | შეს. თარიღი<br>Date<br>2024 |

დამკვეთი:
შპს "სრულად დეველოპმენტები" (405148086)

შემსრულებლები
performers

| | | |
|---|---|---|
| თანამდებობა | სახელი.გვარი | ხელმოწერა |
| მთ. არქიტექტორი | მარიამ ეფრემიძე | |
| არქიტექტორი | | |

ნახაზის დასახელება
Drawing title

□□□-□□□□□ □□□□□□□□□□

| | |
|---|---|
| ფურცელი № | ფურცლის ზომა |
| მასშტაბი.<br>Drawing Scale. | A3 |

2024 წ

პროექტის დასახელება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი:
Address

პირობითი ნიშნები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

12/03/2024

MIA 6 24 00739763

მოქ. მ. ეფრემიძეს
თქვენს 2024 წლის 12 მარტის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, გლდანი, V მ/რ ს/კ 01.11.10.013.335-ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის მოწყობის, სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას (წერილის ნომერი 11/03/2024 16-01240571326), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ გზის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს სამუშაოების დაწყებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთმდე.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240571326**
გაცემის თარიღი: **11/03/2024**

**ადრესატი:** მარიამ ეფრემიძე
**პირადი ნომერი:** 01008050596
**მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, ქობულეთის ქუჩა, N 3-15, ბინა 97

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა 2024 წლის 20 თებერვლის №01240511753-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 20 თებერვლის №01240511753-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, V მიკრო/რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.11.10.013.335) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

**სააგენტოს მიერ აღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ითვლება შეთანხმებულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში აღნიშნულ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების წარდგენისა და ნებართვის მიღების შემთხვევაში.**

**შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ გზის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს სამუშაოების დაწყებიდან 2(ორი) დღის განმავლობაში, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე.**

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების

დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :**

**https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/0GFHKXskHXmo5hP**

**პატივისცემით,**

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

## შენიშვნა:

ნუმერაციით აღნიშნულია საპროექტო ნიშნები, რომელიც უნდა განათავსოს ობიექტის მფლობელმა.

ნუმერაციის გარეშე აღნიშნულია არსებული ან პერსპექტიული ნიშნები.

ქუჩის განივი კვეთი,
საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ




ჯაბიძის ქ.







პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- მიწის ნაკვეთი
- შენობა
- შესასვლელი
- გზის პირობითი აღნიშვნა
- ტროტუარის პირობითი აღნიშვნა
- საპროექტო სერვიტუტი
- არსებული სერვიტუტი
- შშმ პირთა პანდუსები

მ. 1:500

| | |
|---|---|
| დამკვეთი: შპს „სოლუშმ დეველოპმენტ" | საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ( სამშაოთა დასრულებული ვარიანტი ) |
| ქ. თბილისი, გლდანის დასახლება V მ/რ, ჯაბიძის ქუჩა, , კორპ. № 15-ის მიმდებარედ, ნაკვ. № 01.11.10.013.335–ში, მშენებარე ობიექტის, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დეტალი | |




## შენიშვნა :

შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება, წარმოდგენილი სქემის შესაბამისად, სამუშაოთა დაწყებიდან 2 ( ორი ) ღამის გამავლობაში, 0:00 საათიდან 06:00 საათამდე პერიოდში, შესაბამისი ნებართვების და თანხმობების მიღების და შემდეგ.

**საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები:**

| ნიშანი | რაოდენობა |
|---|---|
| 1.26 | 5 ცალი |
| 3.10 | 2 ცალი |
| 3.24 | 4 ცალი |
| 3.25 | 1 ცალი |
| 5.19.1 | 4 ცალი |
| 5.19.2 | 4 ცალი |
| ყვითელი ციმციმა | 2 ცალი |
| ქვეითთა გადასასვლელი ( დროებითი) | 18 ცალი |
| ნაკადის მარეგულირებელი | 2 |

მ. 1:1000

**პირობითი აღნიშვნები:**

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- მიწის ნაკვეთი
- შენობა
- საპროექტო გზასთან მიერთება
- ქვეითთა ნაკადის მიმართულება
- მიმმართველი საგზაო ბარიერი
- დამცავი ბლოკები

| | |
|---|---|
| დამკვეთი: შპს „სოლუმ დეველოპმენტი" | საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ( გზის მოწყობის პერიოდში ) |
| ქ. თბილისი, გლდანის დასახლება V მ/რ, ჯაბიძის ქუჩა, , კორპ. № 15-ის მიმდებარედ, ნაკვ. № 01.11.10.013.335–ში, მშენებარე ობიექტის მშენებლობის პერიოდში, გზის მოწყობის დროს, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა | |

## შენიშვნა:

სამშენებლო ღობე და ჭოლგა ეწყობა ისე, რომ არ კვეთს ბოძებს და არსებულ ხე ნარგავებს.

ქვეითთა გადაადგილებისთვის შენარჩუნებულია სივრცე, არანაკლებ 0.9 მეტრი სიგანით.

ღობის განთავსება გათვალისწინებულია 2 წლის ვადით.







დამკვეთი: შპს „სოლუშ დეველოპმენტი"

ქ. თბილისი, გლდანის დასახლება V მ/რ, ჯაბიძის ქუჩა, , კორპ. № 15-ის მიმდებარედ, ნაკვ. № 01.11.10.013.335–ში, მშენებარე ობიექტის მშენებლობის პერიოდში, დროებითი სამშენებლო ღობის, სამუშაოთა წარმოების ვადით მოწყობის და სამშენებლო ტექნიკის გადაადგილების, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ( მშენებლობის პერიოდში )

# შენიშვნა :

სამშენებლო ღობის მონტაჟის, ასევე დემონტაჟის სამუშაოები, იწარმოებს სამუშაოთა დაწყებიდან 5 დღის გამავლობაში, შესაბამისი ნებართვების და თანხმობების მიღების და შემდეგ.




პირობითი აღნიშვნები:

- დამცავი ზოლები
- დამცავი ზღვრები ან ლენტი
- ქვეითთა ნაკადის მიმართულება
- სამშენებლო ტექნიკა
- ღობის სამშენებლო პოლიგონი

staff

მ. 1:1000

დამკვეთი: შპს „სოლუმ დეველოპმენტი"

ქ. თბილისი, გლდანის დასახლება V მ/რ, ჭაბუკის ქუჩა, , კორპ. № 15-ის მიმდებარედ, ნაკვ. № 01.11.10.013.335–ში, მშენებარე ობიექტის მშენებლობის პერიოდში, დროებითი სამშენებლო ღობის მონტაჟი/დემონტაჟის დროს, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ( ღობის მონტაჟი/დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების პერიოდში )